პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი, _____ ივლისი 2025 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ (ჯამში 21 ლოკაცია) გარე განათების ბოძებზე მობილური და მობილური ინტერნეტის კავშირის ანტენისა და აპარატურის განთავსების მიზნით პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ (ჯამში 21 ლოკაცია, დანართის შესაბამისად) გარე განათების ბოძებზე მობილური და მობილური ინტერნეტის კავშირის ანტენისა და აპარატურის განთავსების მიზნით შპს ,,მაგთიკომი“-სათვის (ს/№204876606) პირდაპირი განკარგვის წესით 3 (სამი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ნებართვის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ნებართვა შპს „მაგთიკომი“-ს (ს/№204876606) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ (ჯამში 21 ლოკაცია) გარე განათების ბოძებზე მობილური და მობილური ინტერნეტის კავშირის ანტენისა და აპარატურის განთავსების მიზნით.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5 . წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ (ჯამში 21 ლოკაცია) გარე განათების ბოძებზე მობილური და მობილური ინტერნეტის კავშირის ანტენისა და აპარატურის განთავსების მიზნით პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია შპს ,,მაგთკომი“-ს (ს/ნ №204876606) კორესპოდენციები ქალაქის ტერიტორიაზე გარე განათების ბოძებზე მობილური და მობილური ინტერნეტის კავშირის ანტენისა და აპარატურის განთავსების თაობაზე ჯამში 21 ლოკაცია. განკარგვის მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი დაკვეთის საფუძველზე სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ს მიერ წარმოდგენილი იქნა ჯამში 21 ლოკაციაზე მობილური და მობილური ინტერნეტის კავშირის ანტენისა და აპარატურის განთავსების თაობაზე დასკვნა №004621625, 17.07.2025წ, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 34 596,0 ლარი. ხოლო მიწის ნაკვეთების შეფასების ხარჯმა შეადგინა 4200,0 ლარი. სარგებლობის საფასურად ღირებულების არანაკლები ოდენობა 5% შეადგენს შესაბამისად განსაკარგი ქონების წლიურ სარგებლობის საფასურად შესაძლებელია განისაზღვროს 40 000,0 (ორმოცი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

შპს ,,მაგთიკომი“-ს განცხადების (N10/1425209395-14, 28.07.2025წ) გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს ,,მაგთკომი“-ს (ს/ნ №204876606) მოთხოვნა პირდაპირი განკარგვის წესით, 03 (სამი) წლის ვადით, **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ (ჯამში 21 ლოკაცია) გარე განათების ბოძებზე მობილური და მობილური ინტერნეტის კავშირის ანტენისა და აპარატურის განთავსების მიზნით მიეცეს ნებართვა**.

ნებართვის სარგებლობის საფასური განისაზღვროს 40 000,0 (ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით. აუდიტის დასკვნა - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო, დასკვნა №004621625, 17.07.2025.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ (ჯამში 21 ლოკაცია) გარე განათების ბოძებზე მობილური და მობილური ინტერნეტის კავშირის ანტენისა და აპარატურის განთავსება

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 40 000,0 (ორმოცი ათასი) ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**

№	მისამართი	ობიექტი	რაოდენობა	სარგებლობის საწყისი წლიური საფასური (ლარი)	შენიშვნა
1	ქ. ბათუმი, აბუსერიძის ქ. №22	გარე განათების ბოძი	1	40 000 (ორმოცი ათასი)	მობილური და მობილური ინტერნეტის კავშირის ანტენისა და აპარატურის განთავსება
2	ქ. ბათუმი, აბუსერიძის ქ. №33	გარე განათების ბოძი	1		
3	ქ. ბათუმი, აბუსერიძის ქ. №51	გარე განათების ბოძი	1		
4	ქ. ბათუმი, აბუსერიძის ქ. №73	გარე განათების ბოძი	1		
5	ქ. ბათუმი, ანგისის ქ. №16	გარე განათების ბოძი	1		
6	ქ. ბათუმი, ანგისის ქ. №37	გარე განათების ბოძი	1		
7	ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. №7ა	გარე განათების ბოძი	1		
8	ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. №3ა	გარე განათების ბოძი	1		
9	ქ. ბათუმი, კობალაძის ქ. №8ა	გარე განათების ბოძი	1		
10	ქ. ბათუმი, მამულაძის ქ. №13	გარე განათების ბოძი	1		
11	ქ. ბათუმი, მამულაძის ქ. №29	გარე განათების ბოძი	1		
12	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №364	გარე განათების ბოძი	1		
13	ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №20	გარე განათების ბოძი	1		
14	ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №18	გარე განათების ბოძი	1		
15	ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12ა	გარე განათების ბოძი	1		
16	ქ. ბათუმი,შარტავას გამზირი №9	გარე განათების ბოძი	1		
17	ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №72	გარე განათების ბოძი	1		
18	ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. №1	გარე განათების ბოძი	1		
19	ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. №7ა	გარე განათების ბოძი	1		
20	ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. №15ბ	გარე განათების ბოძი	1		
21	ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. №39	გარე განათების ბოძი	1		